ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2023 წლის III კვარტლის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 13 416,9 ათ. ლარი, ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისათვის იყო 3 573,8 ათ. ლარი საიდანაც ცხრა თვეში გაიწერა 3 363,9 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის II კვარტლის გეგმამ შეადგინა 16 780,8 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2023 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 13 416,9 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 12 116,0 ათ. ლარი (90%), აქედან: ქონების გადასახადის გეგმა 807,5 ათ. ლარი - ფაქტი 1 122,3 ათ. ლარი (139%); დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა 5 426,8 ათ. ლარი - ფაქტი 5 144,4 ათ. ლარი (95%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 6 849,0 ათ. ლარი - ფაქტი 5 451,1 ათ. ლარი (80%); სხვა შემოსავლების გეგმამ შეადგინა 283,6 ათ. ლარი, ხოლო ფაქტიურად შემოვიდა 394,3 ათ. ლარი (139%), აქედან: პროცენტის გეგმა 81,0 ათ. ლარი - ფაქტი 175,2 ათ. ლარი (216%); მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გეგმა 112,0 ათ. ლარი - ფაქტი 77,1 ათ. ლარი (69%); შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან გეგმა 10,0 ათ. ლარი - ფაქტი 20,2 ათ. ლარი (202%); სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 8,0 ათ. ლარს ფაქტი 13,8 ათ. ლარი (173%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 7,6 ათ. ლარი - ფაქტი 4,7 ათ. ლარი (61%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,1 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 35,0 ათ. ლარი - ფაქტი 19,9 ათ. ლარი (57%); ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე გეგმამ შეადგინა 30,0 ათ. ლარი - ფაქტი 83,3 ათ. ლარი (278%); არაფინანსური აქტივების კლების გეგმა 50,0 ათ. ლარი - ფაქტი 4,0 ათ. ლარი (8%)

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 16 780,8 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 12 185,7 ათ. ლარი (73%) აქედან:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შადგინა 2 730,0 ათ. ლარი - ფაქტი 2 455,6 ათ. ლარი (90%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 742,5 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 709,2 ათ. ლარი (96%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 1 846,2 ათ. ლარი - ფაქტი 1 660,7 ათ. ლარი (90%); სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გეგმა 86,2 ათ. ლარი - ფაქტი 80,2 ათ. ლარი (93%); წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების გეგმა 2,7 ათ. ლარი - ფაქტი 0; ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,5 ათ. ლარი - ფაქტი 5.4 ათ. ლარი (98%).

ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა 11 546,5 ათ. ლარი - ფაქტი 7 724,6 ათ. ლარი (67%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 2 321,0 ათ. ლარი - ფაქტი 1 996,2 ათ. ლარი (86%);
- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 299,4 ათ. ლარი - ფაქტი 258,4 ათ. ლარი (86%);
- საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების გეგმა 9,0 ათ.ლარი - ფაქტი 7,9 ათ.ლარი (88%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია გეგმა 282,0 ათ. ლარი - ფაქტი 161,2 ათ. ლარი (57%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის დაფინანსება 120,0 ათ. ლარი - ფაქტი 75,3 ათ. ლარი (63%);

- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 62,0 ათ. ლარი - ფაქტი 60,0 ათ. ლარი (97%);

- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 176,0 ათ. ლარი - ფაქტი 155,6 ათ. ლარი (88%);

- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 50,6 ათ. ლარი - ფაქტი 46,9 ათ. ლარი (93%);

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 27,3 ათ. ლარი - ფაქტი 7,3 ათ. ლარი (27%);

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 1 407,6 ათ. ლარი - ფაქტი 429,2 ათ. ლარი (30%);

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის გეგმა 2 512,9 ათ. ლარი - ფაქტი 1 699,7 ათ. ლარი (68%);

- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გეგმა 683,5 ათ. ლარი - ფაქტი 311,2 ათ. ლარი (46%);

- სოფლის პროგრამის მხარდაჭერის გეგმა 748,0 ათ. ლარი - გეგმა 707,1 ათ. ლარი (95%);

- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გეგმა 1 967,7 ათ. ლარი - ფაქტი 1 288,5 ათ. ლარი (65%);

- მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების გეგმა 567,5 ათ. ლარი - ფაქტი 333,6 ათ. ლარი (59%);

- ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გაწეული ხარჯების გეგმა 312,2 ათ. ლარი - ფაქტი 186,8 ათ. ლარი (60%).

დასუფთავება და გარემოს დაცვის - გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 605,0 ათ. ლარს, ფაქტი 577,9 ათ. ლარი (95%). აქედან:

- დასუფთავება და ნარჩენების გატანა გეგმა 512,4 ათ. ლარი - ფაქტი 488,0 ათ. ლარი (95%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურისათვის გამოყოფილი სუბსიდიის გეგმა 85,0 ათ. ლარი, ფაქტი 83,2 ათ. ლარი (98%);

- უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებების გეგმა 8,0 ათ. ლარი - ფაქტი 6,7 ათ.ლარი (84%);

განათლების ღონისძიებების დაფინანსების - გეგმა 470,5 ათ. ლარი - ფაქტი 416,0 ათ. ლარი (88%);

- სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 337,5 ათ. ლარი - ფაქტი 295,0 ათ. ლარი (87%);

- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა გეგმა 128,0 ათ. ლარი - ფაქტი 116,8 ათ. ლარი (91%);

- წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემის პროგრამის გეგმა 5,0 ათ. ლარი - ფაქტი 4,2 ათ. ლარი; (84%).

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 1 038,8 ათ. ლარი - ფაქტი 724,2 ათ. ლარი (70%). აქედან:

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი გეგმა 184,5 ათ. ლარი - ფაქტი 144,9 ათ. ლარი (79%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონის გეგმა 105,5 ათ. ლარი - ფაქტი 72,4 ათ. ლარი (69%);

- რაგბის ჯგუფის დაფინანსებისათვის გამოყოფილი სუბსიდიის გეგმა 25,0 ათ. ლარი - ფაქტი 25,0 ათ. ლარი (100%);

- წარმატებული სპორტსმენების დახმარების გეგმა 8,0 ათ. ლარი - ფაქტი 4,2 ათ. ლარი (53%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გეგმა 76,9 ათ. ლარი - ფაქტი 43,4 ათ. ლარი (56%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა გეგმა 43,8 ათ. ლარი - ფაქტი 34,8 ათ. ლარი (79%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 184,4 ათ. ლარი - ფაქტი 181,6 ათ. ლარი (98%);

- მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება გეგმა 56,9 ათ. ლარი - ფაქტი 45,6 ათ. ლარი (80%);

- ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 73,2 ათ. ლარი - ფაქტი 61,6 ათ. ლარი (84%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსება გეგმა 39,1 ათ. ლარი - ფაქტი 30,2 ათ. ლარი (77%);

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გეგმა 35,0 ათ. ლარი, ფაქტი 18,6 ათ. ლარი (53%);

- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის გეგმა 100,0 ათ. ლარი - ფაქტი 0;

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსების გეგმა 68,6 ათ. ლარი - ფაქტი 53,2 ათ. ლარი (78%);

- ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა გეგმა 37,9 ათ. ლარი - ფაქტი 8,8 ათ. ლარი (23%);

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 389,6 ათ. ლარი - ფაქტი 287,3 ათ. ლარი (74%). აქედან:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გეგმა 41,4 ათ. ლარი - ფაქტი 26,4 ათ. ლარი (64%);

- სოციალური უზრუნველყოფა გეგმა 348,2 ათ. ლარი - ფაქტი 260,9 ათ. ლარი (75%).

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე პერიოდში გაიხარჯა ქ.ონში მერიის შენობაში არსებული გათბობის ქვაბების დემონტაჟი და ახალის შეძენა-მონტაჟის სამუშაოებზე 28,6 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის მერიის სახელზე რიცხული ავტომობილ PRADO-ს შეკეთებისთვის 2.6 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსული უხვი ნალექის (თოვლი) შედეგად დაზიანებული სოფლის მისასვლელი გზების წმენდის სამუშაოებზე 48,0 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტში ღია კინოთეატრის მოწყობის სამუშაოების დასრულებისთვის სკამებსა და ფეხსადგამებს შორის კვადრატული მილების ლითონკონსტრუქციის მოწყობის სამუშაოებზე 1,7 ათ. ლარი; სოფელ ბარსა და ბაჯიხევში დაზიანებული სოფლის მისასვლელი გზების რეაბილიტაციის სამუშაოებზე 22,0 ათ. ლარი; სოფელ დიდსა და პატარა ღებს შორის დამაკავშირებელი დაზიანებული ხიდის დემონტაჟის სამუშაოებისათვის 5,5 ათ. ლარი; სოფელ ბარი-მრავალძალის დამაკავშირებელი ცენტრალური გზის რეაბილიტაციისათვის 7,5 ათ. ლარი; სოფელ ონჭევში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების შეკეთებისათვის 6,1 ათ. ლარი; კურორტ შოვში 2023 წლის 03 აგვისტოს, მეწყრული პროცესების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის და მოხალისეებისათვის კვების პროდუქტების და პირველადი მოხმარების ნივთების გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვისათვის 18,0 ათ. ლარი; კურორტ შოვში 3 აგვისტოს მომხდარი სტიქიის შედეგად გარდაცვლილი მოქალაქეების სარიტუალო მომსახურების ხარჯები 21,2 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანისთვის (SKODA OQTAVIA ნომრით XX-115-XX) საბურავების შეძენა 1,7 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.10.2023წ.) ნაშთი შეადგენდა 3 504,2 ათ. ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 761,9 ათ. ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან 2 742,3 ათ. ლარს.

შემსრულებელი: თ. ბ. თინათინ ბროლაშვილი

ნ. ბ. ნინო მეტრეველი